

2017



გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

01.01.2017 -01.07.2017

მომზადებულია ხარისხის მართვის სამსახურის მიერ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy
www.nataliacademi.ge E-mail: info@nataliacademy.ge

შინაარსი

I.	პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები	Error! Bookmark not defined.
II.	მნიშვნელოვანი ფაქტორები.....	3
III.	ბრენდირება	4
IV.	2017 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული საქმიანობის აღწერა.....	5
V.	ბაზრის მიმოხილვა და მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემები	9
VI.	რეზიუმე.....	14

წინამდებარე ანგარიში მოიცავს შპს საზოგადოებრივ კოლეჯში Natali Academy-ის მიერ 2017 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული საქმიანობის აღწერასა და ანალიზს.

პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2014-2020 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმით დასახული უმთავრესი მიზნებია:

- ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების უზრუნველყოფა.
- აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული განათლების ბაზარზე.
- პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება - პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობების, შემოქმედებითი, სოციალური, ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალის განვითარება-რეალიზების უზრუნველყოფა.
- აკადემიის მისიის შესრულებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა.

დასახული მიზნების მისღწევად აკადემიის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს და თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასა და პროფესიული განათლების პროვაიდერებთან.

აკადემია ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, წარმოადგენს მის ოფიციალურ მხარდამჭერსა და სპონსორს. აკადემიის დაფინანსებით მომზადდა 2015 და 2017 წლების World Skills Georgia-ს ეროვნული ჩემპიონატები.



2017 წელი აკადემიისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტით:

- აკადემიამ დააფინანსა და უმასპინძლა 2017 წლის ეროვნული ჩემპიონატს *World Skills Georgia*;
- *World Skills Georgia*-ს კონკურსში მონაწილეობა მიიღო აკადემიის სამმა კურსდამთავრებულმა: კრისტინა ჯუმუტია, მარიამ პირველი, კარინა პარუნოვი.
- 2017 წლის *World Skills Georgia*-ს საპარიკმახერო საქმის გამარჯვებული გახდა აკადემიის კურსდამთავრებული კარინა პარუნოვი. და მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა.
- 2017 წლის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ბრენდირების ხარისხის ნიშნის, ხუთი ვარსკვლავის მფლობელი გახდა.

აკადემია მუდმივად ზრუნავს სტრატეგიული მიზნების შესრულებას, ხელი შეუწყოს მომსახურების სფეროსა და მისი პროფესიების პოპულარიზაციას, ამ სფეროში მაღალი ხარისხის დანერგვაზე.



ბრენდირება

Natali Academy მუდმივად არის ორიენტირებული ხარისხზე. ცდილობს ის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოს. ამიტომ საქართველოს კერძო კოლეჯების მიერ წამოწყებულ ბრენდირების პროექტში თავიდანვე ჩაერთო.

2016 წელს აკადემია ჩაერთო ბრენდირებაში და 2015 წლის განხორციელებული საქმიანობის შედეგებით, ბრენდირების კომისიის მიერ, ბრენდირებული იქნა სამი ვარსკვლავით. მიმდინარე წელს, 2016 წელს გაწეული საქმიანობის შედეგით, აკადემიას ბრენდირების 5 ვარსკვლავი მიენიჭა.

გასული წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა მცირე კონტინგენტის გამო, აკადემია ვერ ახერხებს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სპორტულ თუ შემოქმედებით ღონისძიებებში, მცდელობას არ აკლებს აქტიურად იყოს ჩართული საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში, რისთვისაც კერძო კოლეჯების ფორუმზე, ღონისძიებებში ტანამონაწილეობისა და აქტიურობისთვის, Natali Academy მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.

2017 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული საქმიანობის აღწერა

აკადემიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს Natali Academy-ის საზოგადოებაში ცნობადობის გაზრდისა და კონტინგენტის მოზიდვის უზრუნველყოფა. გარდა ამისა აკადემია ზრუნავს, მისმა სტუდენტებმა და მსმენელებმა საუკეთესო პრაქტიკა გაიარონ და აკადემიის კედლებში გახდნენ პროფესიონალები.

ამ მიზნის მისაღწევად, გარდა იმისა, რომ აკადემია სტუდენტებს საკუთარ სალონებში აქტიურ პროფესიული პრაქტიკას სთავაზობს, დამატებით ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და ტელეშოუებში, სადაც აკადემიის სტუდენტები და და სასერტიფიკატო კურსების მსმენელები მუშაობენ და ასისტირებას უწევენ შპს „ნატალის“ წამყვან სპეციალისტებს

მიმდინარე წელს აკადემიის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს:

- ცეკვავენ ვარსკვლავები
- Mercedes-Benz Fashion Week Tbilisi
- PRIME SHOW
- სისტემატურად არიან ჩართულები საქველმოქმედო აქციებში (მომსახურება ბავშვთა და მოხუცებულთა სახლებისა და თავშესაფრების ბენეფიციარებისთვის)





2017 წლის 18-19 იანვარს აკადემიამ უმასპინძლა ეროვნული ჩემპიონატს World Skills Georgia.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 6 მონაწილემ, საჯარო („მერმისი“, „ახალი ტალღა“) და კერძო კოლეჯების, კერძოდ Natali Academy-ის კურსდამთავრებულებმა:

- ქრისტინა პარუნოვა
- კარინა ჯუმუტია
- მარიამ პირველი

საუკეთესო შემოქმედებითი უნარი და პროფესიონალიზმი გამოავლინეს და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს.

- ქრისტინა პარუნოვა - I ადგილი
- მარიამ პირველი - II ადგილი.

პირველ ადგილის მფლობელი, ქრისტინა პარუნოვა, 2017 წლის შემოდგოაზე, გაერთიანებულ ემირატებში, აბუდაბიში გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის მხარდაჭერისა და საპარიკმახერო საქმის პროფესიულ უნარებში ეროვნული შეჯიბრის ორგანიზებისთვის NATALI ACADEMY-ს დირექტორი და დამფუძნებელი ქნი **ნატალია თოლორაია** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზებული პროფესიული პროგრამების დივერსიფიცირება ჯერ-ჯერობით აკადემიამ ვერ მოახერხა, იმის გამო რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების პროექტის“ ფარგლებში, 2014 წელს შემუშავებული სოლამაზის მომსახურების სფეროს პროფესიული პროგრამები, დღევანდელი ბაზრის მოთხოვნების არარელევანტურია, ხოლო პროგრამების გახორციელების ხარგრძლივობა არადეკვატური. სწორედ ამ მიზეზით ვერ ხერხდება აკადემიის მიერ ახალი პროფესიული პროგრამების დამატება. მიმდინარე წელს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელების პროცესშია სილამაზის მომსახურების სფეროს პროგრამების ოპტიმიზაცია. სამუშაო ჯგუფში ჩართულები იყვნენ აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი ე. ვარდანიანი და ხარისხის მენეჯერი. აკადემიის მიერ მომზადდა ასევე არსებული მოდულური პროგრამებისა და უცხოური პროგრამების ანალიზი. ანალიზის დოკუმენტი წარდგენილი იქნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.

2017 წელს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროექტისთვის აკადემიამ შეიმუშავა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები („ქალის სტილისტი“, „მამაკაცი სტილისტი“), რომლებიც წარდგენილი იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში. აკადემიის პერსონალი, ინფრასტრუქტურა სრულ მზადყოფნაშია განახორციელოს პროგრამის ბენეფიციარების მომსახურება.

აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ასევე შემუშავებული იქნა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სალონის ადმინისტრატორი“, მოდიფიცირდა „სტილისტი“ და „კოლორისტი“.

განხორციელდა მესამე საფეხურის სტილისტის პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსში „კომუნიკაცია“ ცვლილება, რომელიც ეხებოდა შეფასების კომპონენტებს. პროფესიული განათლების მასწავლებლის, ე. თურმანიძის ინიცირებით, კომუნიკაციის უნარების გაძიერებისთვის შუალედური შეფასების კომპონენტი „პრეზენტაციის“ რაოდენობა გაიზარდა, ასევე დაემატა მოძებული მასალის წარდგენაც. აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა შეფასების კომპონენტებისთვის ჩეკ-ლისტები.

საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი გამოცდის კომისიის ინიცირებითა და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, ასევე განხორციელდა ცვლილება მესამე საფეხურის სტილისტის პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი გამოცდის შეფასების ჩეკ-ლისტში. შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი, მამაკაცის თმის შეჭრა, პრაქტიკის შუალედური შეფასების სახედ განისაზღვრა.

ადამიანი რესურსი

აკადემია მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რისთვისაც ორგანიზებას უწევს, როგორც შიდა ტრენინგებსა და მასტერ-კლასებს, ისე პერსონალის ტრენინგებზე მივლინებას.

2017 წლის გაზაფხულზე, აკადემიაში მოწვეული იყო, აკადემიის პარტნიორი, იტალიური ბრენდის framesi-ის არტ დირექტორი, იტალიელი ტოპ სტილისტი ჯიჯი გუერეტტა, რომელმაც სფეროს წარმომადგენლებსა და აკადემიის სტუდენტებს გააცნო კოლორისტიკის უახლესი ტრენდები.

აკადემიის სწავლების მენეჯერი მივლინებული იქნა ILO, საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირისა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე „შრომითი ურთიერთობები და კოლექტიური ხელშეკრულება“.

აკადემიის ადმინისტრაციული და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის აკადემიის ადმინისტრაციის მიერ მოწვეული იქნა ტრენინგთა კლუბის ტრენერი. ჩატარდა ტრენინგი თემაზე - პროფესიული განათლების თავისებურებები, სიახლეები. სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში.

აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები გ. ხიდროვი და ე. ვარდანიანი მივლინებული იყვნენ ქ. სოჩსა და ქ. ერევანში, ცნობილი ტოპ-სტილისტების ვაჟა მხითარაიანისა და გიორგი კოტის სტილისტთა სკოლებში ტრენინგებზე.

თანამშრომლობა

აკადემია ცდილობს თანამშრომლობს როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ისე სხვადასხვა სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან.

აკადემია მიმდინარე წელსაც აქტიურად თანამშრომლობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IMO) და ახორციელებს სოციალურ პროექტებს. 2017 წლის განმავლობაში აკადემიის მიერ გადამზადდა IMO-ს ბენეფიციარები.

2017 წელს, საქართველოს კრძო კოლეჯების ასოციაციის წევრი 40 კოლეჯიდან, NATALI ACADEMY ასოციაციის გამგეობაში იქნა არჩეული.

2017 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი Natali Academy-ისა და აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატას შორის, რომელიც მრავალმხრივი მიმართულებით თანამშრომლობასა და კურსდამთავრებულების დასაქმებასი ხელშეწყობას გულისხმობს.

აკადემიის პერსონალი ჩართული იყო სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სილამაზის მომსახურების სფეროს ოპტიმიზაციის პროცესში.

SWOT ANALYSIS

ორგანიზაციის ძლიერი მხარე - Strengths

- დაწესებულების რეპუტაცია ბაზარზე
- ძლიერი პარტნიორი
- პარტნიორობა მსოფლიოს ცნობილ ბრენდებთან
- კვალიფიციური პერსონალი
- საკუთარი პრაქტიკის ობიექტი
- ჯგუფში სტუდენტთა/მსმენელთა მცირე რაოდენობა
- ბრენდურების უმაღლესი შეფასება
- ნაციონალურ და საერთაშორისო კონკურსებში ჩართულობა

ორგანიზაციის სუსტი მხარე - Weaknesses

- მცირე კონტინგენტი
- საგანმანათლებლო პროგრამების სიმცირე
- მარკეტინგული სტრატეგიის არქონა
- თეორიული სწავლების ბაზის სიმცირე
- დაბალი ფინანსური მოგება

ორგანიზაციის შესაძლებლობები - Opportunities

- სასწავლო ბაზების გაფართოვება-გაძლიერება
- ახალი პროექტების მოძიება და განხორციელება
- უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა
- სხვადასხვა გაერთიანებებში გაწევრიანება
- ხარისხის საერთაშორისო სერტიფიცირება
- პროგრამებისა და მომსახურების დივერსიფიცირება
- თანამშრომლობის გაძლიერება
- მომხმარებლისთვის ბენეფიტების სისტემის დახვეწა

მოსალოდნელი საფრთხეები - Threats

- დაფინანსების წესი
- კერძო პროვაიდერებისა და სახელმწიფოს მხრიდან "დემპინგური" ფასები
- საჯარო სექტორის კოლეჯების მიერ სრული გეოგრაფიული დაფარვა
- ძლიერი კონკურენტების გაჩენა ბაზარზე
- არსებული დაფინანსების მოდელი

აკადემიის საგანმანათლებლო მომსახურეთა დინამიკა წლების მიხედვით


აკადემია ახორციელებს სტილისტის მე-3 და მე-4 საფეხრების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილამაზის სფეროს მომსახურების სხვადასხვა სასერტიფიკატო კურსებს. თუმცა ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ, აპლიკანტების ჩარიცხვა განხორციელდა მხოლოდ მე-3 საფეხურის სტილისტის პროფესიულ პროგრამაზე. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სილამაზის სფეროს მოდულური პროგრამების ნაწილი ან არ დამტკიცებულა, ხოლო დამტკიცებული პროგრამებში კი განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის სჭარბე, სწავლების არასაურველ ვადას საჭიროებს, ამის გამო, მომხმარებლისთვის ბევრად მისაღები და მოთხოვნადია მოკლევადიანი პროგრამები.

ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე აკადემიის მომსახურებით ისარგებლა სულ 243 პირმა.

პროგრამის დასახელება	2015	2016	2017
სტილისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	13	7	10
მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა			
სტილისტი	15	34	7
სალონის ვიზაჟი	13	26	3
კოსმეტოლოგი	17	9	8
პერმანენტული მაკიაჟი	3	4	7
იმიჯმეიკერი	12	10	5
მანიკური	15	13	10
ვიზაჟი შენთვის	-	-	1
სულ:	90	102	51





აკადემიის საგანმანათლებლო მომსახურებით მოსარგებლე პირთა დინამიკა გრაფიკულად ასე გამოიყურება:




სტილისტის სასერტიფიკატო პროგრამაზე მოთხოვნა მაღალია, მისი სწავლების ხანგრძლივობიდან გამომდინარე (სწავლების ხანგრძლივობაა მაქსიმუმ 4 თვე).

დასაქმების მაჩვენებელი

აკადემიის ადმინისტრაცია შპს „ნატალისთან“ ერთობლივად ზრუნავს კურსდამთავრებულთა, როგორც მოკლევადიანი პროგრამების მსმენელების (75%), ისე პროფესიული პროგრამების სტუდენტების (82%) დასაქმებაზე. აკადემიის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.



2016-2017 სასწავლო წლის გამოკითხვის კითხვარების ანალიზის შედეგებით პროფესიული განათლების მასწავლებლების რეიტინგი ასე გამოიყურება:



გამოკითხვის ანლკეტების ანალიზით, პოზიტიურია მომხმარებლის შთაბეჭდილებები როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებზე, ისე ადმინისტრაციულ პერსონალზე.

რეზიუმე

აკადემიის საქმიანობის ძირითადი ორიენტორია მომხმარებელთა და დაინტერესებული მხარეებისთვის მომსახურების მაღალი ხარისხის შეთავაზება. ამასთან სისტემატურად ცდილობს ხარისხისსაიმედოობისა და ამაღლების უზრუნველყოფას.

აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური, ყველა განხორციელებული პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას. სტუდენტების მხრიდან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა დადებითად ფასდება. დადებითი შეფასება აქვს ასევე, განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

მიუხედავად აკადემიის სტუდენტების შეფასებებისა და ადმინისტრაციის მხრიდან ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვისა, შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი განსხვავდება სასურველისგან. აკადემიის ადმინისტრაცია, აღნიშნულ საკითხს, პოზიტიურად შეაფასებს, როცა გრძელვადიანი სტრატეგიით დაგეგმილ აქტივობებს სრულად შეასრულებს.

როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო წლებში აკადემიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომსახურების დივერსიფიცირება, ხარისხის სისტემის დანერგვა და გაუმჯობესება, მარკეტინგული გეგმის და კონკურენტუნარიანი პოლიტიკის შემუშავება და მათთან დაკავშირებული საკითხების განვითარება.

მანანა მახარაშვილი ხარისხის მართვის მენეჯერი

19.07.2017

